სტატიები

მარიამ სარალიძე •

აფექტური პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში - 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მაგალითზე

აბსტრაქტი

აფექტური პოლიტიკური პოლარიზაცია წარმოადგენს ტენდენციას, როდესაც ადამიანები, რომლებიც კონკრეტული პოლიტიკურ ძალასთან აიდენტიფიცირებენ საკუთარ თავს, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს და მხარდამჭერებს აღიქვამენ ნეგატიურად. კერძოდ, ესაა ვითარება, როდესაც ნეგატიური დამოკიდებულება განპირობებულია ემოციური აღქმებით. მსგავსი ტიპის პოლარიზაცია, წარმოადგენს ჯგუფთაშორისი კონფლიქტის პროცესს, რომელსაც თან ახლავს დაყოფა - ჩვენ და ისინი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დადგინდეს რა ფაქტორებითაა განპირობებული აფექტური პოლარიზაცია საქართველოში. ასევე, იმ კონკრეტული გზავნილების გამოკვეთა, რითაც წარიმართა 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანია პოლიტიკური ძალების მიერ. ინტერსს განაპირობებს ის პოტენციური საფრთხეები, რაც პოლიტიკურ პოლარიზაციას, როგორც ფენომენს, დემოკრატიული სტაბილურობისთვის მოაქვს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა. თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ისტორიაში, პოლარიზაცია ქართული პოლიტიკის საკვანძო მახასიათებლად ჩამოყალიბდა. როგორც გამოცდილება აჩვენებს, პოლარიზაცია განსაკუთრებით მაღალ ნიშნულს წინასაარჩევნო პერიოდში აღწევს. მით უფრო, რომ 2024 წლის საპარ-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

ლამენტო არჩევნები აქტიური საპროტესტო კერების ფონზე ჩატარდა. 2023-24 წლებში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის ინიცირების/მიღების კონტექსტში ქვეყანა დღესაც პოლიტიკური კრიზისის ვითარებაშია. შესასწავლ ინტერესს წარმოადგენდა 5 ძირითადი პოლიტიკური სუბიექტი, რომელთაც შემდგომში ცესკოს ოფიციალური მონაცემებით, საარჩევნო ბარიერი გადალახეს.

კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კერძოდ, დისკურსული კონტენტ ანალიზის მეთოდით, გაანალიზებულია 16 ივლისიდან არჩევნების დღემდე, შემდგომში ბარიერგადალახული ხუთი პოლიტიკური სუბიექტის ლიდერების რიტორიკა, პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები და ამომრჩევლებთან შეხვედრისას გაჟღერებული გზავნილები.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური აქტორები პოზიტიური დღისწესრიგის შეთავაზების ნაცვლად, ოპონენტი პოლიტიკური პარტიების მიუღებლობაზე ხაზგასმის მეთოდით პოზიციონირებდნენ. პოლიტიკური ლიდერების რიტორიკა „ჩვენ“ და „ისინი“ დაყოფაზე იყო ორიენტირებული. პოლიტიკოსები მოიხმობდნენ გამყოფ ხაზებს, რის გარშემოც ემოციური შიშებით შეეძლოთ საზოგადოების მობილიზება.

პარტიების ლიდერების რიტორიკის ანალიზისას, რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიკვეთა, რის გარშემოც ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობდნენ: რეფერენდუმი ომსა და მშვიდობას შორის; არჩევანი ევროპასა და რუსეთს შორის; 2024 წლის არჩევნები, როგორც - კონკრეტული პოლიტიკური ძალების მიუღებლობით გაკეთებული არჩევანი. ანალიზის საფუძველზე წარმოჩინდა, რომ აფექტურ პოლარიზაციას საქართველოში თავად პოლიტიკური ლიდერების რიტორიკა აღრმავებს. ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში პოლარიზაციის მხოლოდ პოლიტიკური ელიტებიდან მომავალი აფექტური ფორმაა, თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში აშკარდაა მისი დომინაციური როლი.

საკვანძო სიტყვები: აფექტური პოლიტიკური პოლარიზაცია, პოლარიზაციის საფრთხეები, პოლიტიკური ელიტები, პოლიტიკური პარტიები.

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში, პოლიტიკის მეცნიერები და არამხოლოდ, მსოფლიოს მასშტაბით, სულ უფრო მეტად ინტერესდებიან პოლიტიკური პოლარიზაციის ფენომენით. ინტერსს განაპირობებს ის პოტენციური საფრთხეები, რაც პოლიტიკურ პოლარიზაციას, როგორც ფენომენს, დემოკრატიული სტაბილურობისთვის მოაქვს. მათ შორის, „დემოკრატიის გლობალურ კრიზისთან“ დაკავშირებული დებატების წარმართვისას, პოლიტიკური პოლარიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხსენებადი ტერმინი იყო (Diamond, 2019).

ბოლო რამდენიმე არჩევნების მიმდინარეობის შეფასებისას ეუთო/ოდირის დასკვნებში მუდმივად ვხვდებით პოლარიზაციის ნეგატიურ გავლენებზე ჩანაწერებს. (OSCE/ODHIR, 2020, 2024) მათ შორის, 2023 წელს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა. თუმცა, მანამდე იყო ევროსაბჭოს რეკომენდაცია 9 დათქმით. დათქმებთაგან ერთ-ერთი პოლიტიკური პოლარიზაციის წინააღმდეგ დამატებით ბრძოლის საჭიროებას შეეხებოდა (EuropeanComission, 2022).

მუდმივად გვესმის, რომ ქვეყნის მოსახლეობის გაცხადებული კურსი ევროპულია, (IRI, 2023) მისწრაფება კი ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პოლარიზაციის, როგორც ფენომენის შესწავლა მნიშვნელოვანია და საჭიროებს ფართო მსჯელობის დაწყებას საკითხის გარეშემო. ნაშრომში მიმოხილულია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი და ძირითადი პოლიტიკური სუბიექტების პოზიციონირება. კვლევა წარმოადგენს მცდელობას, დისკურსული ანალიზის საფუძველზე, აიხსნას თუ

როგორ ზემოქმედებს პოლიტიკური აქტორების რიტორიკა აფექ-ტური პოლარიზაციის გაღრმავებაზე საქართველოში. ამასთან, გა-მოიკვეთოს, როგორი ტიპის გზავნილებზეა ორიენტირებული საარ-ჩევნო კამპანიის შინაარსი პოლიტიკური ძალების მხრიდან. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, კვლევა აფექტური პოლარიზაციის შესწავ-ლაზეა ორიენტირებული 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიის პერიოდში. თუმცა, ეს არ ნიშნავს რომ ქვეყანაში მხოლოდ მსგავსი ტიპის პოლარიზაციაა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში, პირველ რიგში მნიშვნელოვანია საკი-თხთან დაკავშირებული საცმეცნიერო ლიტერატურის მოძიება და ანალიზი. ლიტერატურის მოძიებისას ძირითადად გამოყენებულია, ისეთი ელექტრონული ბაზები როგორებიცაა academia.edu და ResearchGate. ძიებისას ვიყენებდი ისეთ საკვანძო სიტყვებს, როგო-რებიცაა: პოლარიზაცია, პოლიტიკური პოლარიზაცია, პარტიული პოლარიზაცია, პოლარიზაციის საფრთხეები, დემოკრატია, აფექტუ-რი პოლარიზაცია, პოლიტიკური ელიტები, პოლიტიკური პარტი-ები; პარტიული სისტემები.

მოცემული კვლევის მიზანია, დადგენილიყო რა ფაქტორები-თაა განპირობებული აფექტური პოლარიზაცია საქართველოში. ასევე იმ კონკრეტული გზავნილების გამოკვეთა, რითაც წარიმართა წინასაარჩევნო კამპანია პოლიტიკური ძალების მიერ.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანები შემ-დეგნაირად განისაზღვრა:

- პოლარიზაციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის შეს-წავლა, ძირითადი კონცეფციებისა და თეორიული მიდგო-მების ანალიზი.
- წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, ძირითადი პოლიტიკუ-რი სუბიექტების რიტორიკაში, ოპონენტი პარტიისადმი/პარ-

ტიის ლიდერებისადმი დამოკიდებულების გამოვლენა/შეფასება.

შესწავლის ინტერესს წარმოადგენდა, 5 ძირითადი პოლიტიკური სუბიექტი, რომელთაც შემდგომში ცესკოს ოფიციალური მონაცემებით1, საარჩევნო ბარიერი გადალახეს: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, კოალიცია „ცვლილებებისთვის“, „ენმ-ერთიანობა“, კოალიცია „ძლიერი საქართველო“, „გახარია - საქართველოსთვის“.

რაც შეეხება საკვლევ კითხვებს, კვლევის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- როგორი ტიპის გზავნილებზეა ორიენტირებული პოლიტიკური პარტიების წაინასაარჩევნო კამპანია?
- როგორ ზემოქმედებს პოლიტიკური აქტორების რიტორიკა აფექტური პოლარიზაციის გაღრმავებაზე?

კვლევის პროცესში ორი დაშვება გვქონდა. კერძოდ:

- აფექტურ პოლიტიკურ პოლარიზაციას საქართველოში აღრმავებს, თავად პოლიტიკური აქტორების რიტორიკა.
- პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანია, ოპონენტი პოლიტიკური ძალების მიუღებლობის ხაზგასმაზეა ორიენტირებული.

პოლიტიკური პოლარიზაციის ტიპისა და დონის შესაფასებლად, განხილულია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა, ოთხთვიანი პერიოდი. უნდა აღინიშნოს, რომ მმართველი პარტია იყო პირველი, ვინც დეკლარირებულად დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ათვლის წერტილად აღებულია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო კამპანიის გახსნის ოფიციალური ცერემონიის დღე - 16 ივლისი.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ თვისებრივი კონტენტ ანალიზი. გაანალიზებულია 16 ივლისიდან არჩევნების დღემდე, (26 ოქტომბერი) ზემოთხსე-

[1] ცესკო 2024 https://results.cec.gov.ge/#/ka-ge

ნებული ხუთი პოლიტიკური სუბიექტის ლიდერების რიტორიკა, წინასაარჩევნო პროგრამები და ამომრჩევლებთან შეხვედრისას გაჟღერებული გზავნილები. ინფორმაციის მოძიების ერთ-ერთ ძირითად წყაროს, პოლიტიკური სუბიექტების Facebook - გვერდები წარმოადგენდა. პოლიტიკური პარტიები სოციალური გვერდების საშუალებით, ავრცელებდნენ წინასაარჩევნო პროგრამების პრეზენტაციის ღონისძიებების live-ვიდეოებს, თბილისსა და რეგიონებში. არაალბათური მიზნობირივი შერჩევით, შეირჩა, თითო პოლიტიკური პარტიის ხუთი მსგავსი შეხვედრა/ღონისძიება. ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ 16 ივლისის თარიღი შეირჩა მიზნობრივად, გამომდინარე იქედან, რომ მმართველმა პარტიამ ფაქტობრივად ამ დროს წარადგინა წინასაარჩევნო პროგრამის შინაარსი.

ძირითად საინფორმაციო პლატფორმად, შერჩეული იქნა საინფორმაციო სააგენტო ”ინტერპრესნიუსი”, გამომდინარე პლატფორმის მარტივი ხელმისაწვდომობიდან. კერძოდ, საინფორმაციო სააგენტო საშუალებას იძლეოდა ინფორმაციის კონკრეტული დროის შუალედში, საჭირო კოდური სიტყვებით გაფილტვრის კუთხით. დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ საინფორმაციო სააგენტო გვთავაზობდა პოლიტიკური ლიდერების განცხადებების, მეტნაკლებად სრულად გაშიფრულ ვერსიებს დაბალანსებულად, პოლიტიკური შეფასებების გარეშე. ამ შემთხვევაში, ძიების შუალედად ონლაინ პლატფორმაზე მიზნობრივად იყო არჩეული 16 ივლისი - 25 ოქტომბერი. საძიებო კატეგორიად მონიშნული იყო „პოლიტიკა“, ხოლო საძიებო სიტყვებად პოლიტიკური სუბიექტების და მათი ლიდერების სახელები. დროის შუალედში, ზემოთაღნიშნული პარამეტრების მიხედვით შემოთავაზებული სიახლეების ნაკადიდან, არაალბათური პრინციპით გაანალიზდა, ოთხასზე მეტი სიახლე.

მიღებულ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ აფექტურ პოლიტიკურ პოლარიზაციას საქართველოში აღრმავებს, თავად პოლიტიკური აქტორების რიტორიკა. ამასთან, პოლი-

ტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანია, ოპონენტი პოლიტიკური ძალების მიუღებლობის ხაზგასმაზეა ორიენტირებული.

თეორიული ჩარჩო

კვლევის ფარგლებში, პოლიტიკური პოლარიზაციის განსაზღვრისას გამოყენებულია ზიგრიდ როჩესტერისა და ლარს კრისტოფერის შერჩეული მიდგომა. კერძოდ, ავტორები სხვადასხვა მეცნიერის შრომებზე დაყრდნობით გვთავაზობენ განსაზღვრებას, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია გულისხმობს სისტემას ორი პარტიით, ან პარტიათა ბლოკით, რომლებიც ერთნაირად ძლიერები არიან მხარდაჭერის თვალსაზრისით. ამასთან, მსგავს პირობებში, ხშირია პოლიტიკური სუბიექტების მიერ ერთმანეთის დაბლოკვა, რაც ხშირად იწვევს დისფუნქციურ მთავრობას ან ჩიხს მთავრობისთვის. მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ, რომ ჰეთრინგტონის მიხედვით, მსგავსი „სისტემა ანგრევს საზოგადოებას და საფრთხეს უქმნის სოციალურ ერთიანობას, რადგან ორი სეგმენტი ვერ ახერხებს ერთმანეთთან კომუნიკაციას“ (Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher, 2024).

ქართული რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მიდგომა, რომ მსგავს ვითარებაში, პოლიტიკა ნაკლებად ფოკუსირებულია პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის ძიებაზე. კერძოდ, უფრო მეტად სოციალური და პოლიტიკური იდენტობების მოხმობაზეა ორიენტირებული. (Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher, 2024)

ძირითად ჩარჩოდ გამოყენებულია ჯენიფერ მაკკოისა და მურატ სომერის თეზისები პოლიტიკურ პოლარიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ ფენომენზე, როდესაც ქვეყნები პოლარიზდებიან განხეთქილების ირგვლივ. კერძოდ, ისეთის, რომლებიც ასახავდნენ გადაუჭრელ დებატებს სახელმწიფოს ფორმირების პროცესში (Murat Somer, Jennifer L McCoy, 2019). ამ შემთხვევაში, საუბარია განხეთქილებებზე, რომელიც ხშირად ეხება ეროვნული იდენტობასა და სამოქალაქო უფლებების

ცნებებს. ხაზგასმაა, რომ ამ ტიპის პოლარიზაცია განსაკუთრებით დამღუპველია, რადგან ის ტრიალებს დებატების გარშემო, თუ ვინ არის ლეგიტიმური მოქალაქე და ვის შეუძლია ლეგიტიმურად წარმოადგინოს ისინი (Murat Somer, Jennifer L McCoy, 2019).

საარჩევნო კამპანიის შეფასებისას ყურადღება გამახვილდება დაყოფაზე - „ჩვენ და ისინი". ამასთან, აქცენტი გაკეთდება რიტორიკაზე, სადაც გამოკვეთილია, რომ საზოგადოება არსებობს პოლიტიკური ომის მუდმივ მდგომარეობაში, სადაც ყველაფერი ორიენტირებულია მომდევნო არჩევნებში გამარჯვებაზე და არა არჩევნებს შორის მმართველობაზე (Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher, 2024).

პოლარიზაციის დონის შესაფასებლად გამოვიყენე, ჰეთრინგტონის შემოთავაზებული მოდელი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პოლარიზაცია შეიძლება იყოს ელიტური (ჩხეტიანი, 2022). ამავე მხრივ ყურადღება მახვილდება კვლავ მაკკოისა და სომერის განსაზღვრებებზე, რომ კვლევების მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაცია ხშირად სტიმულირდება პოლიტიკური ლიდერების რიტორიკით, რომლებიც იყენებენ ამომრჩეველთა რეალურ წყენას. ეს პოლიტიკოსები ირჩევენ გამყოფ საკითხებს, რათა წინა პლანზე წამოწიონ თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგის განხორციელება. ამრიგად, ამომრჩეველი მგრძნობიარეა პოლიტიკური ლიდერების რიტორიკის მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს ხმების გამომუშავებას „სხვის" შიშის საფუძველზე (Jennifer L McCoy, Murat Somer, 2019).

ყურადრება უნდა გავამახვილოთ აფექტური ინტელექტის მოდელის თეორიაზეც. აღნიშნულს რასელ ნიუმანი და ჯორჯ მარკუსი გვთავაზობენ. ავტორები ცდილობენ ახსნას, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ემოციები და აზრები მოქალაქეების შეხედულებებზე. თეორიაში მთავარ ფაქტორად შიშია მიმოხილული. ახსნის მიხედვით, შიში ადამიანებს და მოვლენებს უფრო დასამახსოვრებელს ხდის (George E. Marcus, W. Russell Neuman, Michael B. MacKuen, 2013). შესაბამისად აღქმების ფორმირებაში, შიშს აქვს გავ-

ლენა. პოლიტიკურ მოვლენებზე ემოციური კავშირით გაძლიერებული დამოკიდებულება კი იწვევს პოლარიზაციას.

მარკუს ვაგნერისა და ელკო ჰართეველდის მიხედვით, ელიტური იდეოლოგიური პოლარიზაცია, კორელაციაშია ამომრჩევლის დონეზე აფექტურ პოლარიზაციასთან. ასეთ შემთხვევებში, აფექტური პოლარიზაცია იზრდება არჩევნების პერიოდში (Markus Wagner, Eelco Harteveld).

თეორიული ასპექტები - ზოგადი მიმოხილვა

დემოკრატია და პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობა

ვინაიდან საკვლევი საკითხის ანალიზისას, პოლარიზაცია დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედაა განხილული, რამდენიმე სიტყვით თავად დემოკრატიის შესახებაც უნდა ვისაუბროთ.

დემოკრატია ყველაზე მარტივი გაგებით ისეთი მმართველობის ფორმაა, რომელშიც ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყარო არის ხალხი. კერძოდ, ხალხი არჩევნების გზით ირჩევს და ცვლის ხელისუფლებებს. თუმცა, ეს დემოკრატიის ყველაზე ვიწრო გაგებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან მხოლოდ არჩევნები ვერ იქნება მმართველობის სისტემის შეფასების ვალიდური საფუძველი.

მაგალითად დალის მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რაც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვისაა საჭირო, ესაა - არჩევითობაზე დაფუძნებული ხელისუფლება, რომელიც დღისწესრიგს ხალხის ინტერესებიდანვე გამომდინარე აკონტროლებს და საზოგადოება რომელიც ჩართულია, დღის წესრიგის ფორმირებაში (Dalh, 1971). ამასთან, დალი დემოკრატიას „ყველასათვის ღია შეჯიბრს“ უწოდებს და ყურადღებას ამახვილებს ისეთ პარამეტრზე, როგორიცაა „ორგანიზაციების შექმნის და მათში გაწევრიანების თავისუფლება“. ასევე, „პოლიტიკურ ლიდერთა უფლება იბრძოლონ საზოგადოებრივი მხარდაჭერისთვის და ამომრჩეველთა ხმებისთვის“ და ინფორმაციის ალტერნატიული წყაროების არსებობის მნიშვნელობაზე.

ხუან ლინცი თანამედროვე დემოკრატიის დასახასიათებლად, ისეთ ასპექტზე ამახვილებდა ყურადრებას, როგორიცაა „იურიდიულად გარანტირებული უფლება ჩამოაყალიბო და დაიცვა პოლიტიკური ალტერნატივები. შესაბამისად, აქედან გამომდინარეობს გაერთიანებების შექმნის უფლება (მათ შორის პოლიტიკური პარტიების შექმნის უფლება), სიტყვის თავისუფლება და სხვა პირადი უფლებები.“ ასევე, ლინცი აქცენტს აკეთებდა „თავისუფალ და არაძალისმიერ კონკურენციაზე ლიდერებს შორის ხელმძღვანელობის განხორციელების მათდამი მინიჭებული უფლების პერიოდული გადასინჯვით (პირველ რიგში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სახით, რეგულარული პერიოდულობით)“ (გია ჟორჟოლიანი და სხვ., 2001).

დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა, თანამედროვე სამყაროში მოიცავს ქვეყნის ინსტიტუციონალურ მოწყობას, ხელისუფლების დაყოფისა და განაწილების პრინციპებს, ადამიანების უფლებრივ და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობებისადმი პოლიტიკური კლასის მიდგომებსაც კი.

რასტოუ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ერთობის ფორმირებას და დემოკრატიზაციის შემამზადებელ ფაზაში პოზიციონირებას. ავტორის მიხედვით, დემოკრატიზაციის პროცესი ეროვნული ერთობის შიგნით ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლის შედეგად იწყება. კერძოდ, ერთობის მხარეები შეთანხმებული უნდა იყვნენ საკითხებზე, რისი მიღწევაც სურთ და ამისთვის იბრძოდნენ. რასტოუს მოსაზრებით, ამ პროცესისთვის დამახასიათებელია პოლარიზაცია და არა პლურალიზმი (Rustow, 1970). სწორედ პოლარიზაცია, რამდენიმე ათეული წელია საქართველოს პოლიტიკური თუ სამოქალაქო დღის წესრიგის გამოწვევად რჩება.

რასტოუ მიიჩნევდა, რომ დემოკრატიაზე გადასვლა რთული პროცესია, რომელიც ათწლეულები გრძელდება. ის, ისევე როგორც სხვა ავტორები მსგავს თემებზე, საუბრობს ოპოზიციის თავისუფლების მნიშვნელობაზე. რასტოუს მიხედვით, შემამზადებელი ფაზა

მაშინ სრულდება, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერთა ნაწილი იღებს შეგნებულ გადაწყვეტილებას აღიაროს განსხავებულობის არსებობა ქვეყანაში და დემოკრატიის მექანიზმების ინსტიტუციონალიზება მოახდინოს. ამასთან, ასე ვთქვათ, ბოლო ფაზაა მიჩვევის ფაზა - ეროვნული ერთობის მიერ სოციალური კონფლიქტის პირობებში წამოწეული პრობლემების გადასალახად მიღებული ინსტიტუციონალიზებული გადაწყვეტილებების მიღება და შესრულება, როგორც მოქალაქეთაგან ისე მმართველთაგან (Rustow, 1970).

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიებს, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის მხრივ. ავტორიტარულ ქვეყნებსა და დიქტატორესაც კი, სჭირდებათ პოლიტიკური პარტიები, საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაციისა და მმართველობის შესანარჩუნებლად. პარტიების გარეშე სახელმწიფოს ჯანსაღი ფუნქციონირება წარმოუდგენელია (Klingemann, 2005).

კლინგემანი ყურადღებას ამახვილებს, რომ წარსული პოლიტიკური კვლევები და პუბლიკაციები, ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ როგორ ეხმარებიან პარტიები დემოკრატიულ მანქანას სტაბილიზაციაში, საკუთარი პოზიციონირებით თეორიის პრაქტიკაში გადმოტანის მცდელობის გზით. კერძოდ, პარტიები ასრულებდნენ ერთგვარი ხიდის როლს ხალხსა და მთავრობას შორის, რათა მეტი ყოფილიყო პოლიტიკური ინტეგრაცია. ამასთან, პარტიები ირგებდნენ ერთგვარი ინფორმატორების როლს ელექტორატისთვის. კერძოდ, ახდენდნენ ამომრჩევლის სოციალიზაციასა და მობილიზაციას, თუმცა ისე, რომ ყოფილიყო რწმუნება საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ხალხი. ასევე, პარტიებს აქვთ რესურსი მოაბილიზონ ინტელექტუალური რესურსები და გააბან სექტორებს შორის ურთიერთობები, რათა მოახდინონ მთავრობის ფორმირება, ან საჯარო სტურქტურების დაკომპლექტება. ავტორის მიხედვით, ბოლო კვლევებში უფრო მეტი ადამიანი ამტკიცებს, რომ საკუთარ თავს აიდენტიფიცირებს, როგორც პოლიტიკურად „დამოუკიდებელი“

და ეს ნიშნავს, პარტიების მნიშვნელობის დაქვეითებას. თუმცა, თავად კლინგემანი აღნიშნულს არ ეთანხმება. კლინგემანი თვლის, რომ ხალხი დაღლილია უაზრო პოლიტიკური დაძაბულობებით, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ უპარტიო პოლიტიკოსებს აირჩევენ. ავითარებს ვარაუდს, რომ პარტიები მეტ განსჯას მიიღებენ და ამომრჩეველ იმის მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებას, ვინ უკეთ მიმართავს მათ, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში (Klingemann, 2005).

არენდ ლიპჰარტი აქცენტს აკეთებდა აბრაამ ლინკოლნის ფუნდამენტურ პოზიციაზე, თუ რას ნიშნავს დემოკრატია. კერძოდ საუბარია ფრაზაზე - „დემოკრატია არის ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ, ხალხისთვისვე“. ავტორი ააქტიურებს კითხვას, რომ თუ დემოკრატია არის ხალხის მმართველობა, ხალხისთვის, ვინ განახორციელებს მმართველობას და ვის ინტერესებს უნდა უპასუხოს მთავრობამ, როცა ხალხს შორის უთანხმოებაა და გასნხვავებულ პრეფერენციებს გამოხატავენ?! ერთი მხრივ, ამ დილემაზე პასუხია: ხალხის უმრავლესობა. ეს არის დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელის არსი. მეორე პასუხი კი აღნიშნულ დილემაზე, ესაა მოდელი: მართავს იმდენად ბევრი, რამდენადაც შესაძლებელია. ლიპჰარტი მიმოიხილავს, რომ ორპარტიული სისტემები ახასიათებთ მაჟორიტარულ მოდელებს. მისი შეფასებით, ტრადიციული ლიტერატურა ორპარტიული სისტემის უპირატესობებზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითისთვის აქცენტი კეთდება, რომ არჩევანი ბევრად უფრო მკაფიოა - ირჩევ ან ერთ, ან მეორე პოლიტიკურ ძალას. თუმცა, ლიპჰარტი ყურადღებას ამახვილებს, რომ მეტად პოლარიზებულ გარემოში, ან გარემოში სადაც ამომრჩეველი ცენტრისტულადაა განწყობილი, მარტივია თავი შეიკავოს რომელიმე პარტიისთვის ხმის მიცემისგან. რაც ერთგვარად ხმის მიცემისგან თავშეკავებას იწვევს და ამგვარად მოქმედებს პოლიტიკურ გარემოზე (Lijphart, 1999).

რა არის პოლიტიკური პოლარიზაცია - ზოგადი მიმოხილვა

ვებსტერის ინგლისურენოვანი ლექსიკონის მიხედვით პოლარიზაცია გულისხმობს ორ მკვეთრად განსხვავებულ პოლუსზე განლაგებას. კერძოდ, ესაა მდგომარეობა რომელშიც ჯგუფის, ან საზოგადოების მოსაზრებები, შეხედულებები ან ინტერესები კონცენტრირებულია დაპირისპირებულ უკიდურესობებზე (Merriam Webster Dictionary).

ყველაზე გავრცელებული გაგებით, პოლიტიკური პოლარიზაცია გულისხმობს სისტემას ორი პარტიით, ან პარტიათა ბლოკით, რომლებიც ერთნაირად ძლიერები არიან მხარდაჭერის თვალსაზრისით. ამასთან, მსგავს პირობებში, ხშირია პოლიტიკური სუბიექტების მიერ ერთმანეთის დაბლოკვა, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს დისფუნქციურ მთავრობას ან ჩიხს მთავრობისთვის. ჰეთრინგტონის მიხედვით, მსგავსი „სისტემა ანგრევს საზოგადოებას და საფრთხეს უქმნის სოციალურ ერთიანობას, რადგან ორი სეგმენტი ვერ ახერხებს ერთმანეთთან კომუნიკაციას“ (Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher, 2024).

მსგავს ვითარებაში, პოლიტიკა ნაკლებად ფოკუსირებულია პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის ძიებაზე. კერძოდ, უფრო მეტად სოციალური და პოლიტიკური იდენტობების მოხმობაზეა ორიენტირებული. დღისწესრიგში დომინირებს ორპარტიული „თემი“, რომელთა მიზანი ერთმანეთის დამარცხებაა. პოლიტიკის მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ბიპოლარულობა სრულებით არ შემოიფარგლება ორპარტიული სისტემებით. მაგალითად, ევროპის თანამედროვე მრავალპარტიულ ლანდშაფტში, პოლარიზაციას განაპირობებს მემარჯვენე რადიკალური ან პოპულისტური პარტიების წინ წამოწევა და გრძელვადიანი საარჩევნო წარმატება (Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher, 2024).

მაკკოი და სომერი ყველაზე რთულ დაბრკოლებად მიიჩნევდნენ, როდესაც ქვეყნები პოლარიზდებიან განხეთქილების ირგვ-

ლივ. კერძოდ, ისეთის, რომლებიც ასახავდნენ გადაუჭრელ დებატებს სახელმწიფოს ფორმირების პროცესში. ასეთი პოლარიზაციის შემთხვევაში, ავტორები ვარაუდობენ, რომ ის დროში მდგრადი და საზიანო იქნება დემოკრატიისთვის (Murat Somer, Jennifer L McCoy, 2019).

კერძოდ, საუბარია განხეთქილებებზე, რომელიც ხშირად ეხება ეროვნული იდენტობასა და სამოქალაქო უფლებების ცნებებს. ხაზგასმაა, რომ ამ ტიპის პოლარიზაცია განსაკუთრებით დამღუპველია, რადგან ის ტრიალებს დებატების გარშემო, თუ ვინ არის ლეგიტიმური მოქალაქე და ვის შეუძლია ლეგიტიმურად წარმოადგინოს ისინი. მაგალითად, ესპანეთსა და კანადაში რეგიონალური იდენტობისა და ავტონომიის ირგვლივ მოუგვარებელი განხეთქილება პერიოდულად გადაიზარდა ეროვნულ კონფლიქტში, რაც ბოლო დროს 2019 წლის არჩევნებში კატალონიის დამოუკიდებლობისა და ესპანეთის ერთიანობის შესახებ დებატებში გამოჩნდა (Murat Somer, Jennifer L McCoy, 2019).

აუცილებელია ვისაუბროთ ცნებაზე - პარტიულობა/პარტიული მიკუთვნებულობა. აღნიშნული დემოკრატიულ პოლიტიკაში გულისხმობს ერთგულებას ან ლოიალობას პოლიტიკური პარტიისადმი, ან პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული იდეოლოგიის და დღისწესრიგის მიმართ. მსგავს პროცესს ჩვეულებრივ თან ახლავს, უარყოფითი შეხედულება მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. ასევე, ექსტრემალური ან რადიკალური მიდგომა, საპირისპირო მხარის/პოლიტიკური სუბიექტის მიმართ, განიხილება როგორც საზიანო დემოკრატიული მთავრობების ფუნქციონირებისთვის. შეგვიძლია ვისაუბროთ ჰიპერპარტიულობის ცნებაზე, როგორც ერთგვარ რადიკალურ მიკუთვნებულობაზე კონკრეტული პარტიის მიმართ. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ გამოხატულია სხვა პარტიის ლიდერებთან და თანამდებობის პირებთან თანამშრომლობის ან კომპრომისზე წასვლის არარსებობაში. შესაძლოა გამოვლინდეს ე.წ. „ინსტიტუციური ომი“ ან ინსტიტუციური უფლებამოსილების ბოროტად

გამოყენება, სხვა პარტიის სახალხო მხარდაჭერის შელახვის, ან სხვა მხარის ეფექტური მმართველობის თავიდან აცილების მიზნით, თუნდაც ეროვნული ინტერესების ზიანის მიყენების ფასად. „ტრადიციულად, დამოუკიდებელი ან აპოლიტიკური სამთავრობო ინსტიტუტების პოლიტიზაციის მცდელობა, უკიდურესი პარტიულობის კიდევ ერთი სიგნალია“ (Duignan).

უნდა აღინიშნოს „უკიდურესი პარტიულობის შემთხვევაში, რიგითი მოქალაქეების, ისევე როგორც პოლიტიკური ლიდერების მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ სხვა პარტიის მეთაურობით არც ერთი მთავრობა არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური, ან თუნდაც გამართლებული იყოს ძალადობა იმ მთავრობებზე, რომლებსაც სხვა პარტია ხელმძღვანელობს. ორპარტიულ სისტემაში ექსტრემალური და გრძელვადიანი პარტიულობა, რომელიც ცნობილია როგორც პოლიტიკური პოლარიზაცია, იწვევს ქვეყნის მთელი მოსახლეობის დაყოფას ორ დიამეტრალურად საპირისპირო პოლიტიკურ ბანაკად. ამ ტიპის პოლარიზაციამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შედეგად გამოწვეული დისფუნქცია და ბლოკირება ურთულებს ნებისმიერ მთავრობას ეროვნული პრობლემების ადეკვატურად გადაჭრას. მას ასევე შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას დემოკრატიას, რადგან ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას საარჩევნო ინსტიტუტების მიმართ და ასუსტებს მის ერთგულებას დემოკრატიული ღირებულებებისა და კანონის უზენაესობისადმი” (Duignan). ასეთ შემთხვევებში, საზოგადოება არსებობს პოლიტიკური ომის მუდმივ მდგომარეობაში, სადაც ყველაფერი ორიენტირებულია მომდევნო არჩევნებში გამარჯვებაზე და არა არჩევნებს შორის მმართველობაზე (Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher, 2024).

პოლიტიკური პოლარიზიცაიის ტიპები და დონეები

რასელ დალტონი მიმოიხილავდა სხვადასხვა ავტორების მიხედვით, რა განსაზღვრავდა პოლარიზაციას პარტიულ სისტემებში.

მისი შეფასებით, ლიპჰარტისთვის მთავარი ინდიკატორი კონსოციალური დემოკრატიის ფორმირებაში, პარტიების რაოდენობაა. თუმცა, თავად ავტორი აქცენტს აკეთებს მეორე მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც პარტიული სისტემის პოლარიზაცია გამოხატულია არა პარტიების რაოდენობაში, არამედ იდეოლოგიურ დიფერენციაციაში. ამ მხრივ ის ჯოვანი სარტორისა და ენტონი დაუნსის შრომებზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც ამოსავალი წერტილი სწორედ პარტიების მსოფლმხედველობის ნაირგვარობა იყო და არა მათი რაოდენობა (Dalton, 2008).

ენტონი დაუნსი (1957) გვთავაზობდა სივრცითი მოდელის კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ვიზუალურად წარმოჩინდებოდა, იდეოლოგიური დამოკიდებულებები ამომრჩევლებს შორის. კერძოდ, ესაა ერთგვარი სქემა სადაც პარტიები და მისი ამომრჩევლები განლაგებული არიან, მარცხენა და მარჯვენა კონტინიუმების გასწვრივ. ეს არის ერთგვარი ჩარჩო პარტიული შეჯიბრებითობებისთვის. ამომრჩევლები ირჩევენ იმ პარტიას, რომლებიც მათთან ახლოს დგანან, თუ არცერთი პარტია დგას მათ შეხედულებებთან ახლოს, თავს იკავებენ. შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ამომრჩეველი ნაწილდება მარჯვენა-მარცხენა პოლუსებს შორის. აღნიშნული მოდელი, მნიშვნელოვანია არჩევნებისა და ამომრჩევლის ქცევის შესწავლის პროცესში. დაუნსი თვლიდა, რომ ორპარტიულ სისტემებში, ამომრჩევლები ცენტრთან უფრო ახლოს იქნებოდნენ კონცენტრირებულნი. ხოლო, მრავალპარტიულ სისტემებში, უფრო მეტი გაფანტულობა და მარჯვენა და მარცხენა პოლუსებთან კონცენტრირება იქნებოდა დამახასიათებელი (Dalton, 2008).

ჯოვანი სარტორი აქცენტს აკეთებდა დაუნსის მოდელზე, თუმცა, თვლიდა რომ არსებობენ ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალები. მისი შეფასებით, მაღალი დონის პოლარიზაცია უფრო მეტად ააქტიურებს იდეოლოგიურ დებატებს, შესაძლოა შეასუსტოს რეჟიმის ლეგიტიმუობა და გამოიწვიოს პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაცია. სარტორი თავის თეორიას აჩვენებდა

გერმანიის ვაიმარის სისტემისა და ომის შემდგომი ფრანგული-იტალიური სისტემების მიმოხილვის საფუძველზე (Dalton, 2008).

გავრცელების დონეების მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაცია შეიძლება იყოს ელიტური და მასობრივი ხასიათის. იმ შემთხვევაში, როდესაც განხეთქილების მთავარი წყაროები პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები არიან, საქმე ელიტურ პოლარიზაციასთან გვაქვს. თუმცა, თუ ეს პროცესები ფართო საზოგადოებაში მიმდინარეობს, სახეზეა მასობრივი პოლარიზაცია. „იმ შემთხვევაში, როცა ქვეყანაში ელიტის პოლარიზაციას მასობრივი პოლარიზაცია თან არ ახლავს, მაღალია ალბათობა იმისა, რომ მოქალაქეები გაუცხოვდნენ დემოკრატიული ინსტიტუტებისგან, შემცირდეს საარჩევნო აქტივობის დონე და პოლიტიკოსებმა ნაკლებად უპასუხონ ამომრჩევლის საჭიროებებს (Hetherington, 2009) მასობრივი პოლარიზაციის შემთხვევაში კი, შესაძლოა, ამომრჩევლის საარჩევნო აქტივობა და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის დონე გაიზარდოს" (ჩხეტიანი, 2022).

აკადემიურ წრეებში პატივსაცემი კვლევების მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაცია ხშირად სტიმულირდება პოლიტიკური ლიდერების რიტორიკით, რომლებიც იყენებენ ამომრჩეველთა რეალურ წყენას. ეს პოლიტიკოსები ირჩევენ გამყოფ საკითხებს, რათა წინა პლანზე წამოწიონ თავიანთი პოლიტიკური დღის წესრიგის განხორციელება. მათ შესაძლოა გამოიყენონ რეალური წყენა და წუხილი უმუშევრობასთან ან დანაშაულთან დაკავშირებით, ან შეიძლება წარმოქმნან საფრთხეც კი. ამ შემთხვევაში აქცენტს აკეთებს დონალდ ტრამპის რიტორიკაზე, როდესაც ის ცენტრალური ამერიკის ლტოლვილებს უწოდებს „დამპყრობელ არმიას" (Jennifer L McCoy, Murat Somer, 2019).

ამასთან, ტიპის მიხედვით, ცალკე გამოყოფენ აფექტურ პოლარიზაციას. იენგარმა და ვესტვუდმა შემოგვთავაზეს აფექტური პოლარიზაციის განმსაზღვრელი არგუმენტი. კერძოდ, ეს განმარტეს როგორც ტენდენცია, როდესაც ხალხი რომლებიც რესპუბლი-

კელებად, ან დემოკრატებად აიდენტიფიცირებენ თავს, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებსა და მხარდამჭერებს აღიქვამენ ნეგატიურად, ხოლო საკუთარი პარტიის წარმომადგენლებსა და მხარდამჭერებს პოზიტიურად. აფექტური პოლარიზაციის კონცეპტუალიზაცია ასახავს ჯგუფთაშორისი კონფლიქტის პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს სოციალური იდენტობის თეორიაზე. აღნიშნული თავდაპირველად ტაჯფელის და სხვ. მიერ იქნა ფორმულირებული. ეს იყო მტკიცება, რომ ინდივიდები ქმნიან სოციალურ ჯგუფებს ზოგიერთი საერთო მახასიათებლების საფუძველზე (Tajfel et al. 1979) (Roula Nezi, Georgios Karyotis, Iakovos Makropoulos, 2023).

აფექტური პოლარიზაციის განმარტებისას, აკადემიური ლიტერატურა ძირითადად სწორედ სოციალური იდენტობის თეორიას ეფუძნება. კერძოდ, ინდივიდის იდენტობისა და დადებითი თვითშეფასების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს საკუთარი ჯგუფის სხვა ჯგუფებთან შედარება და უპირატესობის ხაზგასმაა. „პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ კონკრეტულ პარტიასთან მიკუთვნებულობა ამომრჩევლის სოციალური იდენტობის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც საკუთარი პარტიის მიმართ დადებითი დამოკიდებულების, ხოლო მოწინააღმდეგე პარტიების მიმართ ნეგატიური განწყობილების ქონას გულისხმობს“ (ჩხეტიანი, 2022). კერძოდ, საკუთარი პარტიის მოწონება და მოწინააღმდეგე პარტიის არმოწონება განსაკუთრებით მაღალია. აღნიშნულს შესაძლოა ახლდეს სოციალური დისტანცირებაც. ერთ-ერთი მახასიათებელი სწორედ ისაა, რომ დაპირისპირებული პოლიტიკური მოთამაშეების რიტორიკა ემოციურ კონფლიქტებსა და იდენტობებს ეფუძნება, საგნობრივი დღისწესრიგის მიღმა (სამხარაძე, 2022). რიგ შემთხვევებში, „აფექტური პოლარიზაციის თანმდევი მოვლენაა ნეგატიური პარტიული მიკუთვნებულობა (Negative Partisanship). რაც ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგე პარტიის მიმართ

უარყოფითი დამოკიდებულება უფრო ძლიერია, ვიდრე საკუთარი პარტიის მიმართ - დადებითი“ (ჩხეტიანი, 2022).

ექსტრემალურ პოლარიზაციაში ადამიანები გრძნობენ დაშორებას და ეჭვის თვალით უყურებენ „სხვა“ ბანაკს. ამავდროულად, ისინი გრძნობენ ლოიალურობასა და ნდობას საკუთარი ბანაკის მიმართ – მათი მიკერძოების ან მათი ინფორმაციის ფაქტობრივი საფუძვლის შესწავლის გარეშე. ამრიგად, ისინი მგრძნობიარენი არიან პოლიტიკური ლიდერების რიტორიკის მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს ხმების გამომუშავებას „სხვის“ შიშის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის საერთო ფენომენი, რომელიც დიდი ხანია იდენტიფიცირებულია სოციალური ფსიქოლოგიის მიერ, ის კიდევ უფრო გამოხატულია სოციალური მედიის 24-საათიანი ახალი ამბების ციკლებისა და უფრო პოლიტიზებული მედია საშუალებების ეპოქაში, რომლებიც იმეორებენ და აძლიერებენ პოლიტიკურ თავდასხმებს (Jennifer L McCoy, Murat Somer, 2019).

პოლარიზაციის სტიმულირების კონტექსტში, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზეც, თუ როგორ რეაგირებს პოლიტიკური ოპოზიცია. მაგალითად მაკკოი აღნიშნულზე დაკვირვებით ცდილობს ახსნას, თუ როგორ გავლენას ახდენს პოლარიზაცია დემოკრატიაზე. კერძოდ, თუ ოპოზიცია სიძულვილის ენას და „გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი“ ტაქტიკას, მსგავსადვე დემონიზებული ენით უპასუხებს, როგორსაც სახელისუფლებო გუნდი ავლენს, რისკავს ციკლის ჩაკეტვას, რაც პოლარიზაციის გამყარებას იწვევს. მეორე მხრივ, თუ ისინი ამომრჩევლების მობილიზებას მოახდენენ პოზიტიური დემოკრატიზაციის გზავნილის ირგვლივ და წინააღმდეგობას გაუწევენ ცალსახა სტრატეგიებს, მათ შეუძლიათ დაიწყონ დეპოლარიზაცია (McCoy, 2019).

ყურადრება უნდა გავამახვილოთ აფექტური ინტელექტის მოდელის თეორიაზეც. აღნიშნულს რასელ ნიუმანი და ჯორჯ მარკუსი გვთავაზობენ. ავტორები ცდილობენ ახსნან, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ემოციები და აზრები მოქალაქეების შეხედულე-

ბებზე. კერძოდ გამოთქმულია მოსაზრება, რომ პოლიტიკური მიკუთვნებულობის და განწყობები ემოციური ფაქტორებითაა განპირობებული. სამი ძირითადი ემოცია - ბრაზი, შფოთვა და ენთუზიაზმი - მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ განსჯასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან, ერთ-ერთ მაგალითად მიმოიხილავენ შიშის ფაქტორს. ახსნის მიხედვით, შიში ადამიანებს და მოვლენებს უფრო დასამახსოვრებელს ხდის (George E. Marcus, W. Russell Neuman, Michael B. MacKuen, 2013). შესაბამისად აღქმების ფორმირებაში, შიშს აქვს გავლენა. პოლიტიკურ მოვლენებზე ემოციური კავშირით გაძლიერებული დამოკიდებულება კი იწვევს პოლარიზაციას.

ასევე, „შიშის“, როგორც ფაქტორის გამოყენებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრებაა აკადემიურ წრეებში. კერძოდ, კიდევ ერთ საფრთხედ მიიჩნევა, რომ პოლარიზაცია ინდივიდუალურ აღქმებზე მოქმედებს. საუბარია, რომ მას შემდეგ, რაც პოლარიზებული აზროვნება შემოიჭრება და ამომრჩევლები გაიყოფიან ფსიქოლოგიურად და სივრცულად, რთულია საწყის ნიშნულზე დაბრუნება. (პოლარიზაციამდელ მოცემულობაში) მაკკოი კვლევებზე დაყრდნობით წერს, რომ ემოციები, არაცნობიერი სურვილები და შიშები, გავლენას ახდენენ ინფორმაციის ინტერპრეტაციაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ თავს საფრთხეში ვგრძნობთ. ამომრჩეველი მოტივირებულია აღმოფხვრას კოგნიტური დისონანსი ფაქტების უარყოფით, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ, მათ მსოფლმხედველობას ან თვითშეფასებას. ლიდერები სწავლობენ, მხარდამჭერების შიშებისა და შფოთვების გამოყენებას, არჩევნებში გამარჯვების მოპოვების მიზნით, ხელს უწყობენ რა მათი ინტერესებიდან გამომდინარე მოტივირებული მსჯელობების (ნარატივების) გავრცელებას (McCoy, 2019).

რაც შეეხება პოლარიზაციის დონეებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პოლიტიკის მეცნიერები გამოყოფენ ორ დონეს: ელიტური პოლარიზიაცია, რომელიც მოიცავს ფორმალურ პოლიტიკურ აქტო-

რებს შორის პოლარიზაციას (პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები, ინსტიტუციები რომელთაც ისინი მართავენ); ასევე მასობრივი პოლარიზაცია, რომელიც მთლიანად საზოგადოების პოლარიზაციას გულისხმობს (Milačić, 2021).

როგოვსკი და საზერლენდი ავითარებენ ნარატივს, რომ ელიტებიდან მომავალმა სიგნალებმა, შესაძლოა მოგვაწოდოს ინფორმაცია, რატომ განსხვავდება აფექტური პოლარიზაცია დროისა და ქვეყნების მიხედვით. სადაც ელიტები მიუთითებენ პარტიათაშორის კონფლიქტზე და კომპრომისზე წავლის უუნარობაზე, პარტიის მხარდამჭერებმა შესაძლოა განავითარონ აფექტური პოლარიზაციის უფრო მაღალი დონე. მაგალითად ელიტური იდეოლოგიური პოლარიზაცია კორელაციაშია ამომრჩევლის დონეზე აფექტურ პოლარიზაციასთან. ასეთ შემთხვევებში, აფექტური პოლარიზაცია იზრდება არჩევნების პერიოდში (Markus Wagner, Eelco Harteveld).

ელიტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ემოციური პოლარიზაციის (აფექტური პოლარიზაციის) ჩამოყალიბებაში. ეს მსგავსია ერთგვარი ჯგუფური აფექტის, კერძოდ, ჩვენ ვიცით, რომ ჯგუფის ლიდერები გავლენიან როლს თამაშობენ იმის განსაზღვრაში, როგორ ხედავენ ჯგუფის წევრები ერთმანეთს. პოლიტიკურ სფეროში, ელიტების ურთიერთქმედების გზა გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ მოქალაქეები სხვა პარტიებს და მათ მხარდამჭერებს. თუ ელიტები აჩვენებენ ერთად მუშაობის მზაობასა და შესაძლებლობას ეს გავლენას მოახდენს, კონკრეტული პარტიების მხარდამჭერების მხრიდან, მოწინააღმდეგე პარტიები მხარდამჭერების მისამართით. თუმცა, თუ ყველაფერი მოხდება საპირისპიროდ, ფორმირდება მტრის ხატი, იზრდება აფექტური პოლარიზაცია მოქალაქეების დონეზე (Markus Wagner, Eelco Harteveld).

ჰადიმ და იარიმ (Huddy and Yair; 2021) ექსპერიმენტული მიდგომის გამოყენებით იკვლიეს, თუ რა ხდება როდესაც პოლიტიკური ელიტები მიანიშნებენ, რომ წავლენ კომპრომისზე და შეუძლიათ ერთად გაატარონ დრო თუნდაც სოციალურად. აღმოჩნდა,

რომ პარტიების ლიდერებს შორის მსგავსი ურთიერთქმედება, მნიშვნელოვანია აფექტური პოლარიზაციის შემცირებისთვის. როგოვსკი და საზერლენდი თვლიდნენ, რომ ელიტის იდეოლოგიურ პოლარიზაციასა და მოქალაქეთა აფექტურ პოლარიზაციას შორის ურთიერთქმედება ასევე გულისხმობს, რომ ელიტური დისკურსი გავლენას ახდენს მოქალაქეთა დამოკიდებულებებზე. ამასთან, სხვადასხვა მოსაზრებების მიხედვით, დასკვნა რომ აფექტური პოლარიზაცია იზრდება არჩევნების პერიოდში, გულისხმობს სწორედ ამას, რომ ელიტებს შორის კონფლიქტი გადადის ამომრჩეველთა შორის ურთიერთობებზე (Markus Wagner, Eelco Harteveld).

როგორც უკვე აღინიშნა, აფექტური პოლარიზაცია გულისხმობს პოლიტიკურ ჯგუფებს შორის, პოლიტიკური დისკურსის ემოციურად განსაზღვრას. შედეგად ვიღებთ, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და მათი ხედვების ერთმანეთისგან რადიკალურ დისტანცირებასა და იზოლირებას. ამასთან, საგნობრივ დებატებში გათიშულობა, ხელს ვერ უწყობს პარტიებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას. „შესაბამისად, პოლიტიკური კონკურენცია ხდება დესტრუქციული და უშუალოდ კონკურენტის საზიანოდ მიმართული“ (სამხარაძე, 2022).

ზემოთაც ვისაუბრეთ, რომ „აფექტური პოლარიზაციის პირობებში, პოლიტიკურ ელიტებსა და საზოგადოებაში იქმნება ერთგვარი „სასურველი შიდა“ და „არასასურველი გარე“ ჯგუფები (Liked ingroups და Disliked outgroups). ასეთ დროს, ჩნდება სივრცე პოლიტიკური პარტიებისთვის, მიიმხრონ მეტი ამომრჩეველი „არასასურველი აქტორის“ ფაქტორის გამოყენებით, განურჩევლად იდეოლოგიური პრეფერენციისა“ (სამხარაძე, 2022).

ზიგრიდ როსტეტჩერი და ლარს-კრისტოფერ სტოუსენდი თავიანთ კვლევაში „პარტიული სისტემის პოლარიზაცია და ინდივიდუალური პერცეპციები პარტიულ განსხვავებულობაზე“ („*Party-System Polarization and Individual Perceptions of Party Differences“)* ავითარებენ მოსაზრებას, რომ პოლარიზაციის პირობებში, თავდა-

პირველად მაღალი იქნება ამომრჩეველთა აქტივობა. რაც შეეხება პარტიულ კონკურენციას, მიიჩნევენ, რომ ეს იქნება კლაუზევიცის „მეგობარი“ ან „მტერი“ მიმართებით, რადგან შეუძლებელია მხარის არ დაკავება. თუმცა, სვამენ კითხვას - „გადაურჩება თუ არა პოლიტიკური საზოგადოება, ასეთ მუდმივ კონფლიქტს გრძელვადიან პერსპექტივაში?“. ჯონ-მარია ესტებანისა და დებრა რეისთვის, „პოლარიზაცია მჭიდრო კავშირშია დაძაბულობის წარმოქმნასთან, არტიკულირებული აჯანყებისა და აჯანყების შესაძლებლობებთან, ზოგადად სოციალური არეულობის არსებობასთან (ცნობა Esteban and Ray1994: 820). თუმცა, თავად ავტორები ავითარებენ მოსაზრებას, რომ იდეოლოგიურად ზომიერი ამომრჩეველი საერთოდ არ არის პოლარიზებული (Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher, 2024).

მათივე მოსაზრებით, რიგითი მოქალაქეები ხშირად ზომიერები არიან, ისინი იკრიბებიან იდეოლოგიური ცენტრის ირგვლივ და გათიშულნი არიან პოლარიზებული პარტიული პოზიციებით, მუდმივი პარტიული სიძულვილით და მიმდინარე „ნეგატიური კამპანიით“. როგოვსკის მიხედვით, პოლარიზებულ ბანაკებში ჩართული პირები, ეწევიან უკიდურეს მობილიზებას, რაც უარყოფითად აისახება მათ შორის ურთიერთქმედებაზე. სხვადასხვა მეცნიერების ნაშრომების მიმოხილვაზე დაყრდნობით ხაზგასმულია, რომ როდესაც პოლიტიკა არ ტრიალებს პოლიტიკის ირგვლივ, არამედ ორიენტირებულია ორ ჯგუფს შორის აღშფოთებასა და სიძულვილის გარჩემო, ზომიერი და უპარტიო მოქალაქეები, ვერ გრძნობენ წარმომადგენლობას, შესაბამისად თავს იკავებენ ხმის მიცემისგან (Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher, 2024).

როგორ ხასიათდება აფექტური პოლარიზაცია საქართველოში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფექტური პოლარიზაციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია დაყოფა „ჩვენ“ და „ისინი“. ამასთან, პოლიტიკური აქტორების რიტორიკაში წინა პლანზეა ემოციური

კონფლიქტები, „შიშებზე“ დაფუძნებული გზავნილები და იარლიყების ფორმირება, პოლიტიკური ოპონენტის მიუღებლად წარმოსაჩენად. შეგახსენებთ, კვლევის ინტერესს წარმოადგენდა, 5 ძირითადი პოლიტიკური სუბიექტი, რომელთაც შემდგომში ცესკოს ოფიციალური მონაცემები[2], საარჩევნო ბარიერი გადალახეს: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, კოალიცია „ცვლილებებისთვის“, „ენმ-ერთიანობა“, კოალიცია „ძლიერი საქართველო“, „გახარია - საქართველოსთვის“.

ქვეთავში კვლევის პროცესში გამოკვეთილი მიმართებების დამადასტურებელი შინაარსის შემცველი განცხადებების, რამდენიმე მაგალითს გთავაზობთ.

2024 წლის არჩევნები, როგორც - რეფერენდუმი ომსა და მშვიდობას შორის

ომსა და მშვიდობას შორის არჩევანზე, ქართული პოლიტიკური დღისწესრიგის მორგება, 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდგომ გაჩნდა. მმართველმა პარტიამ აირჩია ნარატივი და წინა ხელისუფლების წარმომადგენელი პოლიტიკური ძალა „ომის პარტიად“ და ტერიტორიების დაკარგვაზე პასუხისმგებელ ძალად გამოაცხადა, რომელსაც მიმდინარე ვითარებაშიც ომი სურდა. თავის მხრივ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მმართველი პარტიის რუსულობაზე აპელირებდა და „უსამშობლოებად“ მოიხსენიებდა მის ლიდერებს (სამხარაძე, 2022). ამავე ნარატივით გაგრძელდა 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას მმართველი პარტიის რიტორიკა და ფაქტობრივად მთელი კამპანიის წარმმართველ მთავარ ხაზად იქცა. 16 ივლისს „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის გახსნის ოფიციალური ღონისძიება გაიმართა[3].

[2] ცესკო 2024 https://results.cec.gov.ge/#/ka-ge

[3] „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის გახსნის ოფიციალური ღონისძიება https://www.imedi.ge/ge/video/164488/qartuli-otsnebis-saarchevno-kampaniis-gakhsnis-opitsialuri-gonisdzieba#!?from=1721088000&page=1&to=1721088000

პარტიის ლიდერებმა საზოგადოებას ძირითადი მესიჯები გაა-ცნეს. ბიძინა ივანიშვილის სიტყვა, კვლავ წინა ხელისუფლების ქმედებებზე იყო ორიენტირებული, თუმცა ამჯერად აქცენტი მთლიან ოპოზიციურ სპექტრზეც კეთდებოდა, როგორც „კოლექტი-ურ ნაცმოძრაობაზე“ და არამხოლოდ ერთ კონკრეტულ პარტიაზე. ამავე ნარატივში გაგრძელდა, როგორც პარტიის დანარჩენი ლიდე-რების სიტყვით გამოსვლები, ასევე მათი რიტორიკა მთელი საარ-ჩევნო კამპანიის ფარგლებში.

მმართველი პარტიის ლიდერების რიტორიკის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ომსა და მშვიდობას შორის რეფერენდუმის სუბი-ექტებად განიხილებოდნენ „ქართული ოცნება“ როგორც მშვიდო-ბის უზრუნველმყოფი ძალა, ხოლო დანარჩენი ოპოზიციურად გან-წყობილი პოლიტიკური ძალები, ერთგვარ კოლექტიურ ცვლადად, რომელიც ომს მოუტანდა ქვეყანას.[4] მმართველი პარტიის საარჩევნო სლოგანშიც, განსაკუთრებული აქცენტი მშვიდობაზე კეთდებოდა. [5]

თავის მხრივ ოპოზიციური სპექტრის რიტორიკაშიც გაჩნდა ომთან დაკავშირებული საპასუხო რიტორიკა. მაგალითისთვის, ნიკა გვარამია ამომრჩეველთან მიმართვისას ცდილობდა ისეთი გზავნილების გაჟღერებას, როგორიცაა: „ამ ქვეყანაში, არ იქნება ომი არასდროს, ეს ქვეყანა ყოველთვის იბრძოლებს ევროპისთვის.“[6]

---

[4] „ქართული ოცნება“ პოლიტსაბჭოს განცხადება: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/2024-წლის-საპარლამენტო-არჩევნები-არის-ერთგვარი-რეფერენდუმი-სადაც-ქართველმა-ხალხმ/1070769814413816

[5] ბიძინა ივანიშვილი: „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ“. https://1tv.ge/news/bidzina-ivanishvili-mkholod-mshvidobit-ghirsebit-da-ketildgheobit-evropisken-es-aris-ertaderti-ualternativo-archevani-romelsac-qartvel-amomrchevels-qartuli-ocneba-stavazobs/

[6] ნიკა გვარამია: „ამ ქვეყანაში ომი არ იქნება არასდროს“: https://www.interpressnews.ge/ka/article/813123-nika-gvaramia-tbilisi-ikneba-evropis-dedakalaki-carmatebuli-gagimebuli-da-bednieri-xalxis-kalaki-am-kveqanashi-ar-ikneba-omi-arasdros-es-kveqana-qoveltvis-ibrzolebs-evropistvis

გიორგი გახარიას პარტია თავის ამომრჩეველს „ნამდვილ მშვიდობას“ დაჰპირდა.[7] [8] „ენმ-ერთიანობა“ [9]და „ძლიერი საქართველო“ [10] ხელისუფლებას იზოლაციონისტურ პოლიტიკაში სდებდა ბრალს, რომელიც მშვიდობის საწინააღმდეგოდ მიაჩნდა.

საბოლოო ჯამში, ერთი მხრივ, ხელისუფლების მხრიდან არჩევნები ფაქტობრივად რეფერენდუმად გამოცხადდა ომსა და მშვიდობას შორის. ოპოზიციური სპექტრის საპასუხო რიტორიკამ კი უფრო მეტად მოახდინა აღნიშნული კუთხით, დისკუსიის კრისტალიზება. საარჩევნო პროგრამებშიც, ემოციური საფრთხეები წინა პლანზე იყო წამოწეული და საზოგადოებას ფაქტობრივად იმის მიხედვით უნდა მიეღო გადაწყვეტილება, მიაჩნდა თუ არა ომი რეალურ საფრთხედ ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში. ასევე, სჯეროდა თუ არა, რომ რომელიმე კონკრეტული ძალა მოახერხებდა მშვიდობის უზრუნველყოფას.

---

[7] „გახარია საქართველოსთვის“ - საარჩევნო პროგრამა : https://www.facebook.com/GakhariaGiorgi/videos/967353855409207/

[8] რადიო თავისუფლება: „ჩვენ თუ მოგვცემთ ხმას, ქვეყანაში იქნება მშვიდობა“: https://www.radiotavisupleba.ge/a/რით-აწონებს-თავს-ამომრჩეველს-გახარია-საქართველოსთვის-/33161174.html

[9] გიორგი ვაშაძე - არა ბოდიშს და კი ღირსებას! - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ევროკავშირში გაწევრიანებაზე გადის და არა იზოლაციაზე, რომელიც „ქართულ ოცნებას“ მოაქვს: https://www.interpressnews.ge/ka/article/813872-giorgi-vashaze-ara-bodishs-da-ki-girsebas-teritoriuli-mtlianobis-agdgena-evrokavshirshi-gacevrianebaze-gadis-da-ara-izolaciaze-romelic-kartul-ocnebas-moakvs

[10] ლევან ცუცქირიძე - „ქართული ოცნება“ ბევრს საუბრობს მშვიდობაზე, მაგრამ მშვიდობა ვერასდროს გვექნება, თუკი სუსტი, იზოლირებული და მეგობრების გარეშე ვიქნებით: https://www.interpressnews.ge/ka/article/816425-levan-cuckirize-kartuli-ocneba-bevrs-saubrobs-mshvidobaze-magram-mshvidoba-verasdros-gvekneba-tuki-susti-izolirebuli-da-megobrebis-gareshe-viknebit

2024 წლის არჩევნები, როგორც - არჩევანი ევროპასა და რუსეთს შორის

წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების ლიდერების რიტორიკის ანალიზისას, კიდევ ერთი ხაზი გამოიკვეთა. არჩევნები წარმოჩენილი იყო, როგორც არჩევანი ევროპასა და რუსეთს შორის. ერთი მხრივ, მმართველი გუნდი აცხადებდა პერსონალურ მიღწევად ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ შედეგებს. მათ შორის წინა ხელისუფლებას რუსული საქმის კეთებაში სდებდა ბრალს იმ მხრივ, რომ როგორც აპელირებდნენ, ტერიტორიების დაკარგვაზე პასუხისმგებელი სწორედ ენმ იყო. პარტიული ლიდერების რიტორიკაში, მცდელობა იყო ევროინტეგრაციის გზაზე მიღწევები, პერსონალურ და მათ შორის ვიწროპარტიულ მიღწევად წარმოეჩინათ. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ბიძინა ივანიშვილის როლზე, როგორც გადამრჩენელზე. მმართველი პარტია კი წარმოჩენილი იყო ძალად, რომელიც ერთადერთია, ვისაც ევროინტეგრაციის მიღწევა ძალუძს (ქართული ოცნება, 16 ივლისი).

მეორე მხრივ, ოპოზიციური სპექტრი მმართველ პარტიას რუსულ ძალად მოიხსენიებდა და ევროპული მომავალის „ქართული ოცნების“ პირობებში მიღწევა, შეუძლებელ ამოცანად მიაჩნდა. [11] [12]

[11] გიორგი ვაშაძე - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ევროკავშირში გაწევრიანებაზე გადის და არა იზოლაციაზე, რომელიც „ ოცნებას“ მოაქვს: https://www.interpressnews.ge/ka/article/813872-giorgi-vashaze-ara-bodishs-da-ki-girsebas-teritoriuli-mtlianobis-agdgena-evrokavshirshi-gacevrianebaze-gadis-da-ara-izolaciaze-romelic-kartul-ocnebas-moakvs

[12] ნიკა გვარამია - ჩვენი გზა არის ერთადერთი მიმართულებით და ეს არის ევროკავშირისკენ, https://www.interpressnews.ge/ka/article/817539-nika-gvaramia-chveni-gza-aris-ertaderti-mimartulebit-da-es-aris-evrokavshirisken-shansi-ar-aris-tavisi-nebis-sacinaagmdegod-moqvanili-adamianebi-moerion-atasobit-adamians-romelic-tavisit-chamovida

[13] [14] მიხეილ სააკაშვილი, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში პოზიციონირებდა, როგორც ენმ-ს მოქმედი ლიდერი, ააქტიურებდა გზავნილს, - „თუ ისინი („ქართული ოცნება“) დარჩნენ, ქართველებს უკრაინასთან სამომრად წაიყვანენ“. [15] ამასთან, „ქართული ოცნების“ მისამართით გაჩნდა ტერმინი „იზოლაციონისტი რეჟიმი“, რომელიც ქვეყანას დასავლეთთან აშორებს და რუსეთისკენ მიჰყავს (ენმ 2024).

პოლიტიკური ლიდერების რიტორიკის ანალიზისას, გამოიკვეთა, რომ ფაქტობრივად ყველა პოლიტიკური ძალა წინასაარჩევნო დაპირებად ევროინტეგრაციას ასახელებდა. თუმცა, იმაზე ხაზგასმით, რომ თავად იყვნენ ძალები, რომლებიც ამას შეძლებდნენ და არა ოპონენტი. მაგალითისთვის ენმ-ერთიანობა აჟღერებდა გზავნილს: „„ქართულ ოცნებას“ მოაქვს უვიზო მიმოსვლის შეწყვეტა ევროკავშირთან, ჩვენ მოგვაქვს უვიზო მიმოსვლა ამერიკასთან და ევროკავშირის პასპორტი“. [16]

გამოიკვეთა ასევე ისიც, რომ ოპოზიციური პარტიები ერთმანეთთან კოალიციურ თანამშრომლობას, როგორც პროდასავლური

---

[13] „ერთიანობა - ენმ“ საარჩევნო პროგრამა https://www.interpressnews.ge/ka/article/814751-ertianoba-nacionaluri-mozraobis-saarchevno-programa/

[14] მამუკა ხაზარაძე - ორ დღეში გვაქვს უნიკალური მომენტი, დავამარცხოთ ნიჰილიზმი, რუსული პოლიტიკა: https://www.interpressnews.ge/ka/article/817732-mamuka-xazaraze-or-dgeshi-gvakvs-unikaluri-momenti-davamarcxot-nihilizmi-rusuli-politika-ertad-chavabarot-istoriuli-gamocda

[15] მიხეილ სააკაშვილი: „თუ ისინი დარჩნენ, ქართველებს უკრაინასთან სომრად წაიყვანენ“ : http://tbl.ge/6uxj

[16] გიორგი ვაშაძე - „ქართულ ოცნებას“ მოაქვს უვიზო მიმოსვლის შეწყვეტა ევროკავშირთან, ჩვენ მოგვაქვს უვიზო მიმოსვლა ამერიკასთან და ევროკავშირის პასპორტი: https://www.interpressnews.ge/ka/article/814987-giorgi-vashaze-kartul-ocnebas-moakvs-uvizo-mimosvlis-shecqveta-evrokavshirtan-chven-mogvakvs-uvizo-mimosvla-amerikastan-da-evrokavshiris-pasporti

ძალების ერთობლივ პოზიციონირებას ხედავდნენ გამოსავლად და მთავარ ოპონენტად მმართველ ძალას სახავდნენ, როგორც არჩევნებში ასევე ევროინტეგრაციის გზაზე. ფაქტობრივად მოხდა დაყოფა: ხელისუფლება, როგორც რუსული ძალა და ოპოზიციური სპექტრი, როგორც პროდასავლური ძალების ერთობა. საზოგადოებას კვლავ იმის მიხედვით უნდა მიეღო გადაწყვეტილება, რეალური იყო თუ არა „გარუსების“ საფრთხე და ჰქონდა თუ არა მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ძალას (მოქმედი ხელისუფლება/დანარჩენი ოპოზიციური სპექტრი ერთად აღებული) უნარი საფრთხის განეიტრალების/ევროინტეგრაციის უზრუნველყოფის.

2024 წლის არჩევნები, როგორც - კონკრეტული პოლიტიკური ძალების მიუღებლობით გაკეთებული არჩევანი - „ჩვენ“ და „ისინი“

კვლევის პროცესში პოლიტიკოსების რიტორიკასა და წინასაარჩევნო პროგრამებში, თუ სლოგანებში აშკარა იყო კონკრეტული პოლიტიკური ძალების მიუღებლობაზე აქცენტირება და ამომრჩევლის მობილიზება, ოპონენტი პოლიტიკური ძალის მიუღებლობის კონტექსტით.

მმართველმა პარტიამ ივლისში კიდევ ერთხელ გამოაცხადა ოპოზიცია მადესტაბილიზებელ, ბოროტ ძალად. როგორც ივანიშვილის, ისე პარტიის სხვა ლიდერების რიტორიკაში წინა პლანზე წამოიწია ეპითეტებმა: „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“, „გლობალური ომის პარტია“, „ბოროტება“ (ქართული ოცნება, 16 ივლისი). უნდა აღინიშნოს, რომ როგორც შესწავლის პროცესში გამოიკვეთა, ტერმინ „კოლექტიურ ნაცმოძრაობაში“ უკვე არამხოლოდ უშუალოდ ენმ მოიაზრებოდა, არამედ ოპოზიციური სპექტრი, რომელთაც ენმ-ს განაყოფებადაც მოიხსენიებდნენ. ტერმინი მმართველი პარტიისთვის იყო ეპითეტი, რომელთანაც ცდილობდა ნებისმიერი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური აქტორი დაეკავშირებინა. ლიდერები თავის რიტორიკაში, მუდმივად ახ-

დენდნენ წინა ხელისუფლების პერიოდის ნეგატიურად წარმოჩენას და მათი ხელისუფლების მმართველობის საპირისპირო, დადებით პოლუსად წარმოჩენას. ამასთან, საუბარი იყო წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, რევანშის პოლიტიკური სურვილზეც. ამ შემთხვევაში სახეზეა ნულოვანი ჯამის თამაშის პოლიტიკური კონტექსტიც, სადაც მოგებულს რჩება ყველაფერი, წაგებულს კი არაფერი.

მმართველი პარტია პირდაპირ აცხადებდა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება სჭირდებოდა „პოლიტიკური სისტემის თვისებრივად გასაჯანსაღებლად“, რისი მიღწევაც „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ ჩამოშორების გარეშე შეუძლებლად იყო მიჩნეული. ამომრჩეველს ჰპირდებოდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ყველა მისი სატელიტი, თუ მემკვიდრე პარტია, არაკონსტიტუციურად გამოცხადდება.“[17] ბიძინა ივანიშვილმა შემდგომ კი პარტიის დანარჩენმა ლიდერებმა 26 ოქტომბრის არჩევნები, ახალ ნიურბერგის პროცესად გამოაცხადეს. [18]

თავის მხრივ ერთიანობა-ენმ-მ საპასუხოდ წინა პლანზე კვლავ ოცნების, როგორც იზოლაციონისტური/მოღალატე ძალის შესახებ დაიწყო აპელირება. პარტიის საარჩევნო სლოგანებად იქცა: „მოიშორე ბიძინა!“ „მოიშორე ქართული ოცნება“. [19]

კოალიციამ „ძლიერი საქართველოსთვის“ და პარტიამ „გახარია-საქართველოსთვის“, როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა,

---

[18] ბიძინა ივანიშვილი - „26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს ნიურნბერგის პროცესად „ნაციონალური მოძრაობისთვის“ https://www.interpressnews.ge/ka/article/809692-bizina-ivanishvili-26-oktombris-archevnebi-unda-ikces-niurnbergis-procesad-nacionaluri-mozraobistvis-sadac-kartveli-xalxis-sakonstitucio-umravlesoba-usamshoblo-politikosebis-am-ertianobas-satanado-ganachens-gamoutans

[19] ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო ბანერები: https://www.facebook.com/reel/1731937157609113

ორი საწინააღმდეგო პოლუსისადმი სხვაგვარი დაპირისპირების ნიშა აირჩიეს. კერძოდ, ორივე პოლიტიკური ძალა ცდილობდა გააქტიურებას, რომ უნდა აერჩიათ ენმ-სა და ოცნებისაგან განსხვავებული პოლიტიკური ძალები, რადგან მათი ხელისუფლებების პირობებში ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდებოდა. „ძლიერი საქართველოს“ ლიდერების რიტორიკაში გაჩნდა ისეთი ცნება, როგორიცაა „სუფთა წარსული“, რაშიც მანამდე ხელისუფლებაში არყოფნა მოიაზრებოდა.[20] რაც შეეხება გიორგი გახარიას პოლიტიკურ გუნდს, საარჩევნო ლოზუნგად - „არა „ოცნებას“, არა „ნაცებს“ - გადააქცია და სრული საარჩევნო კამპანიის ფარგლებში აღნიშნული ნარატივის გარშემო ტრიალებდა პოლიტიკური ლიდერების რიტორიკა. [21] რაც შეეხება კოალიციას „ცვლილებებისთვის“ ამომრჩევლის მობილიზებისას აქცენტს აკეთებდა, რომ ხმა უნდა მიეცათ ნებისმიერი პროდასავლური ოპოზიციური ძალისთვის (ზემოთსხენებული სამი ოპოზიციური პოლიტ. სუბიექტი) თუმცა, არა „ქართული ოცნებისთვის“. ამ შემთხვევაში, საარჩევნო კამპანიის მამოძრავებელ ასპექტად იქცა არა მიმართება, თუ რატომ უნდა აერთიათ კონკრეტული პოლიტიკური ძალა, არამედ რატომ არ უნდა აერჩიათ სხვა რომელიმე.

ეროვნულ ღირებულები და ქართულ იდენტობა, როგორც რიტორიკის წამმართველი ასპექტები

მმართველი პარტიის რიტორიკაში კვლავ გაჩნდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ეროვნული ფასეულობებისა და

[20] კოალიცია „ძლიერი საქართველო“- საარჩევნო გეგმის პრეზენტაცია: https://www.facebook.com/watch/live/?mibextid=oFDknk&ref=watch_permalink&v=506049628708699&rdid=LWpLN1Sbp1AtxB4I

[21] გიორგი გახარია - ჩვენი დევიზია: არა „ოცნებას“, არა „ნაცებს“, მშვიდობა საქართველოს!: https://www.interpressnews.ge/ka/article/809338-giorgi-gaxaria-chveni-devizia-ara-ocnebas-ara-nacebs-mshvidoba-sakartvelos-unda-gamovnaxot-zala-kompetenciac-sitamamec-simamacec-rom-pragmatuli-politika-vacarmoot-qvelastan-mat-shoris-okupanttanac/

ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ ნარატივები. კერძოდ, პოლიტსაბჭოს განცხადებაში ხაზგასმა იყო, რომ საჭირო იყო საკონსტიტუციო ცვლილებები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით; „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მიღება, ფსევდოლიბერალური ზეწოლისგან თავდასაცავად; საკონსტიტუციო დონეზე ეროვნული ფასეულობების დაცვითი მექანიზმების შემუშავება; [22] უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პირველი ვინც ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, მმართველი პარტიის ლიდერების რიტორიკას გამოეხმაურა და დებატები შესთავაზა გიორგი გახარია იყო. მის რიტორიკაშიც წინა პლანზე იყო წამოწეული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მნიშვნელობა. თუმცა, მმართველი პარტიის ლიდერს (ბიძინა ივანიშვილი), მსგავსი მნიშვნელობის საკითხების „კულუარული“ გადაწყვეტის მცდელობაში სდებდა ბრალს და საჯარო დებატებს სთავაზობდა თემაზე. [23] ამასთან, მმართველი პარტია ამომრჩეველს განსაკუთრებულ მობილიზებას სთხოვდა, ქვეყნის გადარჩენის მოტივებით. ბიძინა ივნაიშვილმა განაცხადა: „26 ოქტომბერს გამოვიდეთ ქუდზე კაცი და შევქმნათ მყარი ფუნდამენტი საქართველოს ეროვნული იდენტობის დასაცავად, ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად“.

გზავნილი, რომ არჩევნებზე „ქუდზე კაცი“ უნდა გამოსულიყო და საკონსტიტუციო უმრავლესობა მიენიჭებინა მმართველი

[22] „ქართული ოცნება“- პოლიტსაბჭოს განცხადება: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/2024-წლის-საპარლამენტო-არჩევნები-არის-ერთგვარი-რეფერენდუმი-სადაც-ქართველმა-ხალხმ/1070769814413816/

[23] გიორგი გახარია - „მოვუწოდებთ „ოცნებას“ და ივანიშვილს, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ უნდა წყდებოდეს კულუარულად, ბნელ ოთახებში, გაურკვეველი ადამიანების მონაწილეობით“ https://www.interpressnews.ge/ka/article/814252-giorgi-gaxaria-movucodebt-ocnebas-da-ivanishvils-teritoriuli-mtlianobis-sakitxi-ar-unda-cqdebodes-kuluarulad-bnel-otaxebshi-gaurkveveli-adamianebis-monacileobit

პარტიისთვის, „ქართული ოცნების“ ლიდერების ერთ-ერთ მთავარ მოწოდებად იქცა შემდგომი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე არ-ჩევნებამდე. [24]

კოალიცია ცვლილებებისთვის აპელირებდა, რომ 26 ოქტომ-ბერს საჭიროა „ცვლილება, რომელიც სამშობლოს სჭირდება“ 25 მსგავს ნარატივს ავრცელებდნენ პოლიტიკური ძალის სხვა ლიდე-რებიც. მაგალითისთვის ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, "26 ოქ-ტომბერს წყდება, გავიყვანთ თუ არა ამ ქვეყანას სამშვიდობოს...“[26] ამასთან კოალიციამ ე.წ. 4-4-4 გეგმა წარადგინა. გეგმაში გათვა-ლისწინებული იყო „ოცნების“ კანონების გაუქმება, მათ შორის ისე-თების, როგორებიც ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ კა-ნონპროექტი გახლდათ. [27]

ენმ-ს რიტორიკაში წინა პლანზე იყო წამოწეული, რომ ქვე-ყანას დამოუკიდებლობა ჰქონდა აღსადგენი, რადგან სახელისუფ-ლებო გუნდი მტრის ინტერესებით მოქმედებდა. [28]

რაც შეეხება კოალიციას „ძლიერი საქართველო“ წინასაარ-ჩევნო პროგრამა „ილიას გზის“ სახელით შესთავაზა ამომრჩეველს, რომელსაც ოცწლიანი მმართველობის ალტერნატივად სახავდა. (იგულისხმება „ენმ“-სა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების

---

[24] ბიძინა ივანიშვილი: „26 ოქტომბერს გამოვიდეთ ქუდზე კაცი და შევქმნათ მყარი ფუნდამენტი საქართველოს ეროვნული იდენტობის დასაცავად“: https://rustavi2.ge/ka/news/289662

[25] ნიკა გვარამია - „ქუთაისი არის მაგალითი როგორ დაფიქრდე და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შენს სამშობლოს სჭირდება - ცვლილება შესაძლებელია, უნდა ვირწმუნოთ“: https://www.interpressnews.ge/ka/article/811928-nika-gvaramia-kutaisi-aris-magaliti-rogor-dapikrde-da-miigo-gadacqvetileba-romelic-shens-samshoblos-schirdeba-cvlileba-shesazlebelia-unda-vircmunot

[26] 4-4-4 გეგმა - ნიკა გვარამია კოალიციის პროგრამული ხედვების შესახებ: https://www.facebook.com/Ahaliparty/videos/1234242801256197

[28] სააკაშვილი: 2008-ში მაგრად დგომით, მსოფლიოს ფეხზე დაყენებით, სახელმწიფოებრიობა გადავარჩინეთ: https://tabula.ge/ge/news/721365-saakashvili-2008-shi-magrad-dgomit-msoplios

პერიოდები) [29] ამასთან პარტიის ლიდერების რიტორიკაში შეინიშნებოდა ისეთი ნარატივები, როგორიცაა: „მარტივ რამეს ითხოვს ჩვენგან საქართველო, რომ განსაცდელს გადავარჩინოთ“ [30]

შესაბამისად, პოლიტიკა სოციალური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარების ნაცვლად, სოციალური და ეროვნული იდენტობების მოხმობაზე იყო ორიენტირებული.

დასკვნა

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური აქტორები პოზიტიური დღისწესრიგის შეთავაზების ნაცვლად, ოპონენტი პოლიტიკური პარტიების მიუღებლობაზე ხაზგასმის მეთოდით პოზიციონირებენ.

თუკი აქამდე პოლიტიკურ დღისწესრიგში ორი პარტია დომინირებდა - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და შესაბამისად ამ ორ პოლიტიკურ ძალას შორის პოლარიზებაზე იყო პოლიტიკური დღის წესრიგი აგებული, 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდი შედარებით განსხვაბული მოცემულობით წარიმართა. კერძოდ, სახეზე იყო გამოკვეთილი პოლარიზაცია არა ორ პოლიტიკურ პარტიას შორის, არამედ სახელისუფლებო გუნდსა და ოპოზიციურ ბლოკებს შორის.

პოლიტიკური ლიდერების რიტორიკა „ჩვენ“ და „ისინი“ დაყოფაზე იყო ორიენტირებული. პოლიტიკოსები მოიხმობდნენ გამ-

[29] “ილიას გზა” - “ძლიერი საქართველოს” საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია: https://www.facebook.com/watch/live/?mibextid=oFDknk&ref=watch_permalink&v=506049628708699&rdid=LWpLN1Sbp1AtxB4I

[30] ალეკო ელისაშვილი - „მარტივ რამეს ითხოვს ჩვენგან საქართველო, რომ განსაცდელს გადავარჩინოთ“ - https://www.interpressnews.ge/ka/article/817845-aleko-elisashvili-martiv-rames-itxovs-chvengan-sakartvelo-rom-gansacdels-gadavarchinot-vinc-saxlshi-darcheba-da-ar-cava-archevnebze-mas-sakartvelo-ar-uqvars-rac-ginda-gadagrexili-qancebit-svit-mere-sadgegrzeloebi

ყოფ ხაზებს, რის გარშემოც ემოციური შიშებით შეეძლოთ საზოგადოების მობილიზება. წახალისებული იყო ისეთ აფექტური საკითხები როგორებიცაა, ერთი მხრივ ომის შიში, მეორე მხრივ წინა ხელისუფლების დაბრუნების შესაძლებლობა, რაც ასევე შიშებთან იყო დაკავშირებული. ამასთან, აპელირება იყო სამშობლოს დაღუპვის შესაძლებლობასა და ეროვნული იდენტობის დაცვის აუცილებლობაზე.

წინასაარჩევნო პროცესში, პარტიების ლიდერების რიტორიკის ანალიზისას, რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიკვეთა, რის გარშემოც ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობდნენ: რეფერენდუმი ომსა და მშვიდობას შორის; არჩევანი ევროპასა და რუსეთს შორის; 2024 წლის არჩევნები, როგორც კონკრეტული პოლიტიკური ძალების მიუღებლობით გაკეთებული არჩევანი. ანალიზის საფუძველზე წარმოჩინდა, რომ აფექტურ პოლარიზაციას საქართველოში, თავად პოლიტიკური ლიდერების რიტორიკა აღრმავებს. თავისთავად, ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში პოლარიზაციის მხოლოდ პოლიტიკური ელიტებიდან მომავალი აფექტური ფორმაა, თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში აშკარდაა მისი დომინაციური როლი. კერძოდ, პარტიები ამომრჩევლის მობილიზებისას, პოზიტიურ დღისწესრიგზე კონცენტრირების ნაცვლად, მოწინააღმდეგე პოლიტიკური ბანაკის დემონიზებით და ნეგატიური კამპანიით ცდილობენ. რეალურია თუ არა ის საფრთხეები, რაზეც პოლიტიკური აქტორები აპელირებდნენ, სხვა კვლევის საკითხია, თუმცა ფაქტია, რომ პოლიტიკური დღისწესრიგი საზოგადოების შიშებზე, ემოციებზე და სოციალური იდენტობების მოხმობაზე იყო ორიენტირებული.

ბიბლიოგრაფია

Dalh, R. (1971). *Poliarchy: participation and Opposition.* New Haven: Yale University Press.

Dalton, R. (2008). The Quantity and the Quality of Party Systems. SAGE Publications. მოპოვებული 2024 წლის 8 December, https://www.academia.edu/53172484/The_Quantity_and_the_Quality_of_Party_Systems_Party_System_Polarization_Its_Measurement_and_Its_Consequences-დან

Diamond, L. (2019). The Global Crisis of Democracy. მოპოვებული 2024 წლის 28 November, https://www.wsj.com/articles/the-global-crisis-of-democracy-11558105463-დან

Duignan, B. (თ. გ.). *Britanica*. მოპოვებული Britanica.com: https://www.britannica.com/topic/partisanship-დან

EuropeanComission. (2022). მოპოვებული 2025 წლის 16 January, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800-დან

George E. Marcus, W. Russell Neuman, Michael B. MacKuen. (2013). *Affective Intelligence and Political Judgment.* University of Chicago Press. მოპოვებული 2025 წლის 9 January, https://www.researchgate.net/publication/37694302_Affective_Intelligence_and_Political_Judgment-დან

Hetherington. (2009). Review Article: Putting Polarization in Perspective. *British Journal of Political Science*, 413–448.

Hungtington, S. (1991). Democracy's Third Wave. *Journal of Democracy*.

IRI. (2023). მოპოვებული https://www.iri.org/wp-content/uploads/2023/04/IRI-Poll-Presentation-Georgia-March-2023-Final-CISR-Approved-.pdf?fbclid=IwAR2yZ0LUYei4SB9q-aPSR3YncR-T4a3BZ0ZZgaFh2Igg_kbZkCAxCRprlNo-დან

Jennifer L McCoy, Murat Somer. (2019). "Toward a Theory of Pernicious Polarization and How It Harms Democracies: Comparative Evidence and Possible Remedies". მოპოვებული https://www.researchgate.net/publication/328538486_Toward_a_Theory_of_Pernicious_Polarization_and_How_It_Harms_Democracies_Comparative_Evidence_and_Possible_Remedies_Forthcoming_in_a_Special_Issue_of_the_Annals_of_the_American_Academy_of_Political_and-დან

Klingemann, H.-d. (2005). *Political Parties and Party Systems*. მოპოვებული 2024 წლის 15 December, https://www.academia.edu/45360576/Political_Parties_and_Party_Systems-დან

Lijphart, A. (1999). *Patterns of Democracy.* Yale Univeristy Press. მოპოვებული 2024 წლის 8 December, http://digamo.free.fr/lijphart99.pdf-დან

Markus Wagner, Eelco Harteveld. (თ. გ.). მოპოვებული 2025 წლის 8 January, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/00323217241300993#bibr32-00323217241300993-დან

McCoy, J. (2019). Polarization harms democracy and society. მოპოვებული 2024 წლის 10 December, https://www.icip.cat/perlapau/en/article/polarization-harms-democracy-and-society/-დან

Merriam Webster Dictionary. (თ. გ.). (E. Levy, პროდიუსერი) მოპოვებული Merriam Webster Dictionary: https://www.merriam-webster.com/dictionary/polarization-დან

Milačić, F. (2021 წლის March). *THE NEGATIVE IMPACT OF POLARIZATION ON DEMOCRACY.* მოპოვებული 2025 წლის 8 January, https://library.fes.de/pdf-files/bueros/wien/18175.pdf-დან

Murat Somer, Jennifer L McCoy. (2019). "Transformations through Polarizations and Global Threats to Democracy," . მოპოვებული 2024 წლის 10 December, https://www.researchgate.net/publication/328538491_Transformations_through_Polarizations_and_Global_Threats_to_Democracy_Forthcoming_in_a_Special_Issue_of_the_Annals_of_the_American_Academy_of_Political_and_Social_Sciences_guest_editors_Jennifer_McCoy-დან

OSCE/ODHIR. (2020, 2024). doi:https://www.osce.org/files/f/documents/1/4/480500.pdf

Roula Nezi, Georgios Karyotis, Iakovos Makropoulos. (2023). Culture Wars: The Impact of Affective Polarization.

Rustow, D. A. (1970). Transitions to Democracy: Toward a Dynamic Model. *Comparative Politics* (გვ. 337-363).-ში Comparative Politics, Ph.D. Programs in Political Science, City University of New York. მოპოვებული 2024 წლის 30 november,

http://biblio.institutoelcano.org/docs/VVidapolitica/Acienciapolitica/3Democratizacion/Transicionpolitica/Rustow_TransitionstoDemocracy.pdf-დან

Sigrid Rossteutscher, Lars-Christopher. (2024). Party-System Polarization and Individual Perceptions of Party Differences: Two Divergent Effects on Turnout . *AN INTERNATIONAL JOURNAL OF COMPARATIVE POLITICS* .

გია ჟორჟოლიანი, თამარ ბერეკაშვილი, მარინა მუსხელიშვილი. (2001). დემოკრატიზაცია : საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში. გ. ჟორჟოლიანი-ში, *დემოკრატიზაცია.* თბილისი.

სამხარაძე, ნ. (2022). მოპოვებული 2024 წლის 9 დეკემბერი, https://gip.ge/wp-content/uploads/2022/10/პოლიტიკის-მემორანდუმი-60.pdf-დან

ჩხეტიანი, ლ. (2022). მოპოვებული 2024 წლის 8 დეკემბერი, https://socialjustice.org.ge/ka/products/politikuri-polarizatsia-sakartveloshi-ras-vguliskhmobt-sinamdvileshi-დან

ცესკო. (2024).

გამოყენებული განცხადებები:

„ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის გახსნის ოფიციალური ღონისძიება https://www.imedi.ge/ge/video/164488/qartuli-otsnebis-saarchevno-kampaniis-gakhsnis-opitsialuri-gonisdzieba#!?from=1721088000&page=1&to=1721088000 (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადება: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/2024-წლის-საპარლამენტო-არჩევნები-არის-ერთგვარი-რეფერენდუმი-სადაც-ქართველმა-ხალხმ/1070769814413816 (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

ბიძინა ივანიშვილი: *„მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ“.* https://1tv.ge/news/bidzina-ivanishvili-mkholod-mshvidobit-ghirsebit-da-ketildgheobit-evropisken-es-aris-ertaderti-ualternativo-archevani-romelsac-qartvel-amomrchevels-qartuli-ocneba-stavazobs/ (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

ნიკა გვარამია: *„ამ ქვეყანაში ომი არ იქნება არასდროს“* : https://www.interpressnews.ge/ka/article/813123-nika-gvaramia-tbilisi-ikneba-evropis-dedakalaki-carmatebuli-gagimebuli-da-bednieri-xalxis-

kalaki-am- kveqanashi-ar-ikneba-omi-arasdros-es-kveqana-qoveltvis-ibrzolebs-evropistvis (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

„გახარია საქართველოსთვის“ -საარჩევნო პროგრამა - *„ნამდვილი მშვიდობით; ნამდვილი ღირსებით; ნამდვილი კეთილდღეობით ევროპისკენ“*: https://www.facebook.com/GakhariaGiorgi/videos/967353855409207/ (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

გიორგი გახარია: *„ჩვენ თუ მოგვცემთ ხმას, ქვეყანაში იქნება მშვიდობა“:* https://www.radiotavisupleba.ge/a/რით-აწონებს-თავს-ამომრჩეველს-გახარია-საქართველოსთვის-/33161174.html (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

გიორგი ვაშაძე - *„არა ბოდიშს და კი ღირსებას! - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ევროკავშირში გაწევრიანებაზე გადის და არა იზოლაციაზე, რომელიც „ქართულ ოცნებას“ მოაქვს“:* https://www.interpressnews.ge/ka/article/813872-giorgi-vashaze-ara-bodishs-da-ki-girsebas-teritoriuli-mtlianobis-agdgena-evrokavshirshi-gacevrianebaze-gadis-da-ara-izolaciaze-romelic-kartul-ocnebas-moakvs (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

ლევან ცუცქირიძე - *„„ქართული ოცნება“ ბევრს საუბრობს მშვიდობაზე, მაგრამ მშვიდობა ვერასდროს გვექნება, თუკი სუსტი, იზოლირებული და მეგობრების გარეშე ვიქნებით“:* https://www.interpressnews.ge/ka/article/816425-levan-cuckirize-kartuli-ocneba-bevrs-saubrobs-mshvidobaze-magram-mshvidoba-verasdros-gvekneba-tuki-susti-izolirebuli-da-megobrebis-gareshe-viknebit (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

გიორგი ვაშაძე - *„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ევროკავშირში გაწევრიანებაზე გადის და არა იზოლაციაზე, რომელიც „ ოცნებას“ მოაქვს“:* https://www.interpressnews.ge/ka/article/813872-giorgi-vashaze-ara-bodishs-da-ki-girsebas-teritoriuli-mtlianobis-agdgena-evrokavshirshi-gacevrianebaze-gadis-da-ara-izolaciaze-romelic-kartul-ocnebas-moakvs (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

ნიკა გვარამია - *„ჩვენი გზა არის ერთადერთი მიმართულებით და ეს არის ევროკავშირისკენ“.* https://www.interpressnews.ge/ka/article/817539-nika-gvaramia-chveni-gza-aris-ertaderti-mimartulebit-da-es-aris-evrokavshirisken-shansi-ar-aris-tavisi-

nebis-sacinaagmdegod-moqvanili-adamianebi-moerion-atasobit-adamians-romelic-tavisit-chamovida (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

„ერთიანობა - ენმ“ საარჩევნო პროგრამა https://www.interpressnews.ge/ka/article/814751-ertianoba-nacionaluri-mozraobis-saarchevno-programa/ (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

მამუკა ხაზარაძე - *„ორ დღეში გვაქვს უნიკალური მომენტი, დავამარცხოთ ნიჰილიზმი, რუსული პოლიტიკა“* : https://www.interpressnews.ge/ka/article/817732-mamuka-xazaraze-or-dgeshi-gvakvs-unikaluri-momenti-davamarcxot-nihilizmi-rusuli-politika-ertad-chavabarot-istoriuli-gamocda (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

მიხეილ სააკაშვილი: *„თუ ისინი დარჩნენ, ქართველებს უკრაინასთან სამრად წაიყვანენ“*: http://tbl.ge/6uxj (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

გიორგი ვაშაძე - *„„ქართულ ოცნებას“ მოაქვს უვიზო მიმოსვლის შეწყვეტა ევროკავშირთან, ჩვენ მოგვაქვს უვიზო მიმოსვლა ამერიკასთან და ევროკავშირის პასპორტი“*: https://www.interpressnews.ge/ka/article/814987-giorgi-vashaze-kartul-ocnebas-moakvs-uvizo-mimosvlis-shecqveta-evrokavshirtan-chven-mogvakvs-uvizo-mimosvla-amerikastan-da-evrokavshiris-pasporti(ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

„ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ წინასაარჩევნო პროგრამა 2024: https://www.imedi.ge/video/171425

„ქართული ოცნება“- პოლიტსაბჭოს განცხადება: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/2024-წლის-საპარლამენტო-არჩევნები-არის-ერთგვარი-რეფერენდუმი-სადაც-ქართველმა-ხალხმ/1070769814413816/. (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

ბიძინა ივანიშვილი - *„ 26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს ნიურნბერგის პროცესად „ნაციონალური მოძრაობისთვის““* https://www.interpressnews.ge/ka/article/809692-bizina-ivanishvili-26-oktombris-archevnebi-unda-ikces-niurnbergis-procesad-nacionaluri-mozraobistvis-sadac-kartveli-xalxis-sakonstitucio-umravlesoba-usamshoblo-politikosebis-am-ertianobas-satanado-ganachens-gamoutans (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

ერთიანობა ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო ბანერები: https://www.facebook.com/reel/1731937157609113 (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

კოალიცია „ძლიერი საქართველო“- საარჩევნო გეგმის პრეზენტაცია: https://www.facebook.com/watch/live/?mibextid=oFDknk&ref=watch_permalink&v=506049628708699&rdid=LWpLN1Sbp1AtxB4I (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

გიორგი გახარია - *„ჩვენი დევიზია: არა „ოცნებას“, არა „ნაცებს“, მშვიდობა საქართველოს!“* : https://www.interpressnews.ge/ka/article/809338-giorgi-gaxaria-chveni-devizia-ara-ocnebas-ara-nacebs-mshvidoba-sakartvelos-unda-gamovnaxot-zala-kompetenciac-sitamamec-simamacec-rom-pragmatuli-politika-vacarmoot-qvelastan-mat-shoris-okupanttanac/

„ქართული ოცნება“- პოლიტსაბჭოს განცხადება: https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/2024-წლის-საპარლამენტო- არჩევნები-არის-ერთგვარი-რეფერენდუმი-სადაც-ქართველმა-ხალხმ/1070769814413816/.

გიორგი გახარია - *„მოვუწოდებთ „ოცნებას“ და ივანიშვილს, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ უნდა წყდებოდეს კულუარულად, ბნელ ოთახებში, გაურკვეველი ადამიანების მონაწილეობით“*

https://www.interpressnews.ge/ka/article/814252-giorgi-gaxaria-movucodebt-ocnebas-da-ivanishvils-teritoriuli-mtlianobis-sakitxi-ar-unda-cqdebodes-kuluarulad-bnel-otaxebshi-gaurkveveli-adamianebis-monacileobit

ბიძინა ივანიშვილი: *„26 ოქტომბერს გამოვიდეთ ქუდზე კაცი და შევქმნათ მყარი ფუნდამენტი საქართველოს ეროვნული იდენტობის დასაცავად“* https://rustavi2.ge/ka/news/289662 ნიკა გვარამია - *„ქუთაისი არის მაგალითი როგორ დაფიქრდე და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შენს სამშობლოს სჭირდება - ცვლილება შესაძლებელია, უნდა ვირწმუნოთ“:* https://www.interpressnews.ge/ka/article/811928-nika-gvaramia-kutaisi-aris-magaliti-rogor-dapikrde-da-miigo-gadacqvetileba-romelic-shens-samshoblos-schirdeba-cvlileba-shesazlebelia-unda-vircmunot

კოალიცია „ცვლილებებისთვის“ 1-ლი ყრილობა: https://www.facebook.com/Ahaliparty/videos/1695968637826234

4-4-4 გეგმა - ნიკა გვარამია კოალიციის პროგრამული ხედვების შესახებ: https://www.facebook.com/Ahaliparty/videos/1234242801256197

საკაშვილი: *„2008-ში მაგრად დგომით, მსოფლიოს ფეხზე დაყენებით, სახელმწიფოებრიობა გადავარჩინეთ“:*

https://tabula.ge/ge/news/721365-saakashvili-2008-shi-magrad-dgomit-msoplios (ბოლოჯერ ნანახია 20 იანვარი 2025 წ.)

“ილიას გზა” - “ძლიერი საქართველოს” საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია:

https://www.facebook.com/watch/live/?mibextid=oFDknk&ref=watch_permalink&v=506049628708699&rdid=LWpLN1Sbp1AtxB4I

ალეკო ელისაშვილი - *„მარტივ რამეს ითხოვს ჩვენგან საქართველო, რომ განსაცდელს გადავარჩინოთ“*

https://www.interpressnews.ge/ka/article/817845-aleko-elisashvili-martiv-rames-itxovs-chvengan-sakartvelo-rom-gansacdels-gadavarchinot-vinc-saxlshi-darcheba-da-ar-cava-archevnebze-mas-sakartvelo-ar-uqvars-rac-ginda-gadagrexili-qancebit-svit-mere-sadgegrzeloebi)

Mariam Saralidze

Affective Political Polarization in Georgia: The Case of the Pre-Election Campaign of the Parliamentary Elections of 2024

Abstract

Affective political polarization refers to the tendency where individuals who identify with a particular political force perceive representatives and supporters of the opposing party negatively. Specifically, this situation arises when negative attitudes are driven by emotional perceptions. Such polarization is a form of intergroup conflict characterized by a division between "us" and "them."

This study examines the factors driving affective polarization in Georgia and analyzes the key messages used in the 2024 pre-election campaign. In modern Georgian politics, polarization has become a defining feature, posing risks to democratic consolidation—especially in a pro-Western country.

Historical trends further show that polarization intensifies during election periods. Notably, the 2024 parliamentary elections were marked by protests against the Law on Transparency of Foreign Influence, adopted in 2023-24, which contributed to an ongoing political crisis.

The research focuses on five major political forces that, according to official data from the Central Election Commission (CEC), surpassed the electoral threshold. Using qualitative research methods, particularly discourse content analysis, the paper examines the rhetoric of party leaders, their pre-election campaing, and voter-targeted messages from July 16 until election day. This method allows for an understanding of how political discourse shapes public perceptions and mobilizes electoral support.

The research findings indicate that rather than offering a positive agenda, political actors framed their campaigns around rejecting opposing parties. Analysis of the rhetoric identified several key themes for voter mobilization: framing the election as a referendum between war and

peace, as a choice between Europe and Russia, and as a vote against specific political forces.

The study concludes that political leaders' rhetoric significantly intensifies affective polarization in Georgia. While this polarization is not solely driven by political elites, their influence in reinforcing divisions during the pre-election period is clearly dominant.

Keywords: affective political polarization, dangers of polarization, political elites, political parties.